



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030471367890317

04-676/ო

18 / სექტემბერი / 2017 წ.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ - მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 15 სექტემბრის N01/58337 წერილის გათვალისწინებით, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განხორციელდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ - მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლისთვის (შემდგომში – მიმწოდებელი) გადაცემული სახარჯი მასალის, სამკურნალო საკვები დანამატის და მედიკამენტების მონიტორინგი, ამავე დაწესებულებებში არსებული ნაშთების შემოწმების მიზნით.

2. დამტკიცდეს მონიტორინგის აქტის ფორმა (დანართი N1, N2, N3), ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისად.

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის განხორციელების უფლება სააგენტოს სახელით მიენიჭოთ:

ა) ირინე გობეჯიშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს;

ბ) გვანცა ბერიძეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების სამმართველოს უფროს სპეციალისტს;

გ) ქეთევან მერაბიშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს - ა/წ 25 სექტემბრამდე;

დ) ნათია ყორანაშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს ექსპერტ – კონსულტანტს;

ე) ირაკლი წვერავას — სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს ექსპერტ – კონსულტანტს;

ვ) ინგა კვირიკაშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროს სპეციალისტს;

ზ) ქეთევან ჩხატარაშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროს სპეციალისტს.

4. წინამდებარე ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა ამავე პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება შესაძლებელია, განახორციელონ როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად (ცალ-ცალკე).

5. ამ ბრძანებით გათვალისწინებული მონიტორინგის პირობებს განსაზღვრავს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც, მოქმედი სამართლებრივი აქტების (პროგრამა და ა.შ) გათვალისწინებით, შემოწმებლებს აძლევს მითითებებს განსახორციელებელი მონიტორინგის თარიღის და მათი რაოდენობის (არაუმცირეს წელიწადში ერთხელ) შესახებ.

6. მონიტორინგის განმახორციელებელი ვალდებულია, შეადგინოს მონიტორინგის აქტი 2 ეგზემპლარად, ამავე ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგის აქტის ფორმის შესაბამისად. აქტის 1 ეგზემპლარი გაეცნობა ან გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი ინახება სააგენტოში.

7. მონიტორინგის აქტის შემდგენი პირი ვალდებულია, შესაბამისი მიმწოდებელი გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ:

ა) „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის დროს, აქტში დაფიქსირებული ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების რაოდენობა გათვალისწინებული იქნება მომდევნო საანგარიშო თვეში, ანალოგიური საშუალებების მიწოდების დროს;

ბ) სახელმწიფო პროგრამების - „დიაბეტის მართვა“, „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“, „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ - ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის დროს, აქტში დაფიქსირებული მედიკამენტების და სამკურნალო საკვები დანამატის რაოდენობების ელექტრონულ პროგრამაში დაფიქსირებულ რაოდენობებთან უზუსტობის შემთხვევაში, განხილულ იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების საკითხი.

8. დაევალოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი), უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების თაობაზე შესაბამისი მიმწოდებლის ინფორმირება.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ“ სააგენტოს 2017 წლის 07 თებერვლის N04-58/ო ბრძანება.

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-2 კილომეტრი, N6), მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გადაცემული სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების

მონიტორინგის აქტი № —

მონიტორინგის აქტის შედგენის თარიღი:

მონიტორინგის აქტის შედგენის ადგილი:

მონიტორინგის ჩამტარებელი პირ(ებ)ი:

მონიტორინგს ესწრებოდა:

მონიტორინგის საგანი:

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გადაცემული სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების მონიტორინგი, ამავე დაწესებულებებში არსებული მარაგების შემოწმების მიზნით.

მონიტორინგის ობიექტი:

ჰემოდიალიზი/ სახარჯი მასალა

N	დასახელება	რაოდენობა	მოქმედების ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა
1	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 0.6-0.8 <30				
2	ა/ვ სისხლის მაგისტრალი (პედიატრიული)				
3	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 0.8-1.0 <30 /L100				

4	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 12-13 <30/ L120 or PL120 or BIO120				
5	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 12-13 >30 / H120,PH120,BIO120				
6	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 14-16 <30/ L140,PL140(160)Bio140 (160)				
7	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 14-16 >30/ H140,				
8	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 1.7-1.8 <30/L180				
9	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 1.7-1.8 >30/H180				
10	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 2.1-2.4 <30/L210				
11	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 2.1-2.4 >30/H210				
12	ა/ვ სისხლის მაგისტრალი (2008FMC-4008FMC, FMC 5008, FMS5008S, Dialog+, Nikkiso, Nipro Surdial X)				
13	ა/ვ ფისტულის საპუნქციე ნემსი 16G				
14	მჟავა-კონცენტრატი K2				
15	მჟავა-კონცენტრატი K3				
16	ნატრიუმის ბიკარბონატი (ფხვნილი)				
17	ნატრიუმის ბიკარბონატი Bbraun/nikkiso 650g				
18	ნატრიუმის ბიკარბონატი 4008FMC				
19	ნატრიუმის ბიკარბონატი 4008S classic basic				
20	აპარატის სადეზინფექციო ხსნარი/ლიმონმჟავა 50%				
21	წყლის დასარბილებელი გრანულირებული (ტაბლეტიზირებული) მარილი 25kg				

მედიკამენტები

ჰემოდალიზი/პერიტონეული დიალიზი

N	დასახელება	სავაჭრო დასახელება	რაოდენობა	სერია/ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა
1	დაბალმოლეკულური ჰეპარინი					
2	არაფრაქციული ჰეპარინი					
3	ერიტროპოეტინი					
4	რკინის სუკროზა					

პერიტონეული დიალიზი/ სახარჯი მასალა*

N	დასახელება	რაოდენობა	მოქმედების ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა
1	ხსნარი 2.0ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 1,36% დექსტროზა 1,5%)				
2	ხსნარი 2.0ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 2,27% დექსტროზა 2,5%)				
3	ხსნარი 2.0ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 3,86%, დექსტროზა 4,25%)				
4	ხსნარი 2.5ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 1,36% დექსტროზა 1,5%)				
5	ხსნარი 2.5ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 2,27% დექსტროზა 2,5%)				
6	ხსნარი 2.5ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 3,86%				

	დექსტროზა 4,25%)				
7	ხსნარი 5.0 ლ (გლუკოზა 1,36% დექსტროზა 1,5%)				
8	ხსნარი 5.0 ლ (გლუკოზა 2,27% დექსტროზა 2,5%)				
9	აიკოდექსტრინი 7.5% 2.0ლ ჩამცლელით				
10	სადეზინფექციო თავსახური				
11	კათეტერის დამაგრძელებელი (გადამყვანი)				
12	პერიტონეული დიალიზის კათეტერი (Orepoulos Zelman)				
13	კათეტერის ადაპტორი				
14	გამომავალი მაგისტრალის ჩამკეტი				
15	მაგისტრალი ჩამცლელი ჩანთით (აპდ)				
16	კასეტა (აპდ)				

(*) ივსება მხოლოდ პერიტონეული დიალიზის მიმწოდებელი დაწესებულების შემთხვევაში

მონიტორინგის საფუძველი:

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის —N —/ო ბრძანება.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა:

მონიტორინგის განმახორციელებელი

უფლებამოსილი პირ(ებ)ი

ბ.ა

პროგრამით გათვალისწინებული

მომსახურების მიმწოდებელი

უფლებამოსილი წარმომადგენელი

ბ.ა

„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის, „გულ–სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“ „ფილტვის ქრონიკულ დაავადებათ სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“, „დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“, „ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“ კომპონენტების ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ლოგისტიკური მომსახურების შემსრულებელი ორგანიზაციისთვის (დასახელება – ტენდერით გამოვლენილი გამარჯვებული SPA) გადაცემული ფარმაცევტული პროდუქტის

მონიტორინგის აქტი № —

მონიტორინგის აქტის შედგენის თარიღი:

მონიტორინგის აქტის შედგენის ადგილი:

მონიტორინგის ჩამტარებელი პირ(ებ)ი:

მონიტორინგს ესწრებოდა:

მონიტორინგის საგანი:

„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის, „გულ–სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“, „ფილტვის ქრონიკულ დაავადებათ სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“, „დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“, „ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“ კომპონენტების ფარგლებში, პროგრამის მოსარგებლეზე გაცემის მომსახურების მიზნით, შპს „—“ გადაცემული ფარმაცევტული პროდუქტის მონიტორინგი.

მონიტორინგის მიზანი:

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართულ ავთიაქტებში (რეგიონი/რაიონი) ფიზიკურად არსებული ნაშთის აღწერა და ქრონიკული დაავადებების ელექტრონული პორტალზე დაფიქსირებულ მედიკამენტებთან შედარება, როგორც რაოდენობრივი, ასევე სერიული და მოქმედების ვადის კონტროლის მიზნით.

მონიტორინგის ობიექტი:

სამკურნალო საშუალება

N	მედიკამენტის საერთაშორისო არაპატენტური დასახელება	მედიკამენტის სავაჭრო დასახელება	რაოდენობა	სერია/ მოქმედების ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა
1	ენალაპრილი 10მგ					
2	ენალაპრილი 20მგ					
3	ლოსარტანი 100მგ					
4	მეტოპროლოლი 100მგ					
5	ამიოდარონი 200მგ					
6	ვარფარინი 2.5მგ					
7	დიგოქსინი 0.25მგ					
8	სპირონოლაქტონი 25მგ					
9	ატორვასტატინი 20მგ					
10	კლოპიდოგრელი 75მგ					
11	იზოსორბიდის მონონიტრატი 40მგ					
12	ფუროსემიდი 40მგ					
13	მეტფორმინი 1000მგ					
14	გლიმეპირიდი 2მგ					
15	გლიკლაზიდი 60მგ					
16	ალბუტეროლი 2.5მგ/0.5მლ 0.5მლ					
17	სალმეტეროლი/ფლუ ტიკაზონი 50მკგ/250მკგ საინჰალაციო ფხვნილი					

18	სალბუტამოლი 100მკგ დოზა საინჰალაციო აეროზოლი					
19	მეთილპრედნიზოლო ნი 16მგ					
20	ბუდესონიდი 0.5მგ/2მლ					
21	აკლიდინიუმის ბრომიდი საინჰალაციო ფხვნილი (კაფსულა) ინჰალატორთან ერთად/322მკგ/დოზა					
22	თიამაზოლი 5მგ					
23	ამლოდიპინი 5მგ					

მონიტორინგის საფუძველი:

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის —N —/ო ბრძანება.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა:

შენიშვნა: მონიტორინგის აქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ელექტრონული პროგრამიდან აქტის შედგენის დღეს (მონიტორინგის დღე, ნაშთის აღწერამდე დაწყების პერიოდი) ამოღებული ინფორმაცია კონკრეტულ აფთიაქში არსებული ნაშთების შესახებ.

მონიტორინგის განმახორციელებელი

უფლებამოსილი პირ(ებ)ი

ბ.ა

პროგრამით გათვალისწინებული

მომსახურების მიმწოდებელი

უფლებამოსილი წარმომადგენელი

ბ.ა

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტების ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ლოგისტიკური მომსახურების შემსრულებელი ორგანიზაციისთვის (დასახელება – ტენდერით გამოვლენილი გამარჯვებული SPA) გადაცემული ფარმაცევტული პროდუქტის

მონიტორინგის აქტი № —

მონიტორინგის აქტის შედგენის თარიღი:

მონიტორინგის აქტის შედგენის ადგილი:

მონიტორინგის ჩამტარებელი პირ(ებ)ი:

მონიტორინგს ესწრებოდა:

მონიტორინგის საგანი:

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტების ფარგლებში, პროგრამის მოსარგებლეზე გაცემის მომსახურების მიზნით, შპს „—“ გადაცემული ფარმაცევტული პროდუქტის მონიტორინგი.

მონიტორინგის მიზანი:

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტებში ჩართულ აფთიაქებში (რეგიონი/რაიონი) ფიზიკურად არსებული ნაშთის აღწერა და სპეც. მედიკამენტების აღრიცხვა–გაცემის ელექტრონულ პროგრამაში დაფიქსირებულ მედიკამენტებთან შედარება, როგორც რაოდენობრივი, ასევე სერიული და მოქმედების ვადის კონტროლის მიზნით.

მონიტორინგის ობიექტი:

სამკურნალო საშუალება/სამკურნალო საკვები დანამატი

N	მედიკამენტის საერთაშორისო არაპატენტური დასახელება	მედიკამენტის სავაჭრო დასახელება	რაოდენობა	სერია/ მოქმედების ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა

მონიტორინგის საფუძველი:

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის —N —/ო ბრძანება.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა:

შენიშვნა: მონიტორინგის აქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ელექტრონული პროგრამიდან აქტის შედგენის დღეს (მონიტორინგის დღე, ნაშთის აღწერამდე დაწყების პერიოდი) ამოღებული ინფორმაცია კონკრეტულ აფთიაქში არსებული ნაშთების შესახებ.

მონიტორინგის განმახორციელებელი

უფლებამოსილი პირ(ებ)ი

ბ.ა

პროგრამით გათვალისწინებული

მომსახურების მიმწოდებელი

უფლებამოსილი წარმომადგენელი

ბ.ა